

შუახევის მუნიციპალიტეტი

დაბა შუახევში სპორტული კომპლექსის მშენებლობის არქიტექტურული პროექტის შედგენა

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2011 წლის 28 ნოემბერი
დაბა შუახევი

სარჩევი

საკონკურსო განცხადება -----	3
საკონკურსო პირობები-----	3
ტექნიკური დავალება-----	5
რეკვიზიტები დანართი №1-----	6
ხელშეკრულების პროექტი -----	7

საკონკურსო განცხადება

1. შუახევის მუნიციპალიტეტი (მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქუჩა №30) ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს დაბა შუახევიში სპორტული კომპლექსის მშენებლობის საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).
2. შესყიდვის ობიექტი დაბა შუახევიში სპორტული კომპლექსის მშენებლობის პროექტი.
3. საკონკურსო პრემიის ოდენობა შეადგენს 9000 ლარს.
4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 12 დეკემბრის 10 საათიდან 2011 წლის 12 დეკემბრის 13 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქუჩა #30 შუახევის მუნიციპალიტეტი.
5. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 12 დეკემბერს 13 საათზე შემდეგ მისამართზე: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქუჩა #30 შუახევის მუნიციპალიტეტი.

საკონკურსო პირობები

1. შუახევის მუნიციპალიტეტი (მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქუჩა №30) ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს დაბა შუახევიში სპორტული კომპლექსის მშენებლობის საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).
2. შესყიდვის ობიექტი - დაბა შუახევიში სპორტული კომპლექსის მშენებლობის პროექტი.
3. საკონკურსო პრემიის ოდენობა შეადგენს 9000 ლარს დღგ-ს ჩათვლით.
4. კონკურსში მონაწილეობის საფასური:
 - 4.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით 50 (ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).
 - 4.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.პირის მიერ 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
5. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.
6. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
9. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

11. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 12 დეკემბერს 13 საათზე, შემდეგ მისამართზე: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქუჩა #30 შუახევის მუნიციპალიტეტი.

12. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 12 დეკემბრის 10 საათიდან 2011 წლის 12 დეკემბრის 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქუჩა #30

13. საკონკურსო პრემია გამარჯვებულ კონკურსანტს გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის ხელშეკრულების გაფორმებისა და დაბა შუახევში სპორტული კომპლექსის არქიტექტურულ-სამშენებლო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 2011 წლის 23 დეკემბრამდე.

14. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:

ა) ტენიკურ დავალებას.

ბ) რეკვიზიტებს დანართი №1-ის მიხედვით.

გ) დაბა შუახევში სპორტული კომპლექსის არქიტექტურულ-სამშენებლო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულებას, ინფორმაციას კონკურსანტის ანალოგიური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის გამოცდილების შესახებ (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები), დასაქმებული სპეციალისტების ჩამონათვალი. ინფორმაციას მომსახურების გაწევის ვადის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემებს– იურიდიული პირისთვის და ინდივიდუალური მეწარმისთვის:

ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

15. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. საკონკურსო წინადადების ფასი – კოეფიციენტი 0,4

2. საპროექტო ობიექტის არქიტექტურულ- კომპოზიციური და გეგმარებითი გადაწყვეტა - 0.4 კოეფიციენტი.

3. ობიექტის ეკონომიკური და პრაქტიკული განხორციელება - 0.2 კოეფიციენტი.

საკონკურსო წინადადება შეფასდება საკონკურსო პირობებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

16. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

17. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქუჩა #30 შუახევის მუნიციპალიტეტი. მე-2 სართული. საკონტაქტო პირი: მ. მიქელაძე ტელ: 577 20-34-34;

ტექნიკური დავალება

დაბა შუახევში სპორტული კომპლექსის მშენებლობის არქიტექტურული პროექტის
შედგენა

ძირითადი მოთხოვნა: სპორტული კომპლექსის შენობის სათამაშო მოედნი 20X40 მეტრი გაბარიტული ზომით, გასახდელებით, კვების ბლოკით, ადმინისტრაციის კაბინეტებითა და სხვა დამხმარე სათავსოებით.

საპროექტო ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1 300 000ლარს.

არქიტექტურული პროექტი უნდა მოიცავდეს:

- ტექსტურ ნაწილს;

- გრაფიკულ ნაწილს;

ტექსტური ნაწილის შემადგენლობა:

- განმარტებითი ბარათი;

- ტერიტორიის ზოგადი დახასიათება (ლანდშაფტის ტიპი, ზოგადი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მაჩვენებლები), მისი განლაგება დასახლების საერთო სტრუქტურაში; - ტერიტორიის ბუნებრივ-კლიმატური და სხვა ღირებულებების მაჩვენებლები;- არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; გრაფიკული ნაწილის შემადგენლობა: -**გენგეგმა** მ 1:500 -**ვერტიკალუმი დაგეგმარება** მ 1:500 -**გეგმები** მ 1:100 ან :200 -**გეგმები ავეჯის განაწილებით** მ 1:100 ან 1:200 -**ჭრილი** მ 1:100 ან 1:200 -**ფასადები (გრაფიკული დამუშავებით)** მ 1:100 ან 1:200 -**ფასადები (გამოყენებული მასალებისა და ფერების ჩვენებით)** მ 1:100 ან 1:200 საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ტექსტური, ასევე ელექტრონული ვერსიით ერთ ეგზემპლარად, დახურული პაკეტით. პროექტის გრაფიკული ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს სტანდარტებით გათვალისწინებულ მასშტაბებში. ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს PDF ფორმატში ტექნიკური დავალება და რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს. გამარჯვებული პროექტის გარდა კონკურსზე წარმოდგენილი ყველა პროექტი კონკურსში მონაწილე(ებ)ს დაუბრუნდება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

რეკვიზიტები

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

კონკურსანტის იურიდიული მისამართი:

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

კონკურსანტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

თარიღი _____

შენიშვნა: თუ კონკურსანტი ფიზიკური პირია უნდა მიეთითოს პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით პირადი ნომერი.

1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება N

დაბა შუახევი

..... 2011 წელი

ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი, საკრებულოს თავმჯდომარის იური ქათამაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ

..... სახით (შემდგომში მიმწოდებელი), N--- კონკურსის ჩატარების შედეგად, კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 71200000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 დაბა შუახევში სპორტული კომპლექსის მშენებლობის არქიტექტურულ-სამშენებლო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

1.2 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

1.3 ხელშეკრულების სართო ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

2.2 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

2.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **შუახევის მუნიციპალიტეტის** მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

3.2 გადახდის ფორმა - უნაღდო.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 2011 წლის შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით, პროექტის შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

4.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია;

4.4.1 შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადასცეს პროექტი და შესაბამისი ყველა უფლება.

4.4.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.5 მიმწოდებელს უფლება აქვს;

4.5.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება.

5. გაუთვალისწინებელი გარემოებები (ფორს მაჟორი)

5.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურობების არსებობის პერიოდით.

5.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

5.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას;

გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

7.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. გამოყენებული სამართალი

8.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

9. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

9.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელ უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11 სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

. 11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

. 11.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ჭუახევის მუნიციპალიტი

პის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.30.

ს/ს „ლიბერთი ბანკის“

შუახევის ფილიალი

პ/კოდი: LBRTGE22

ა/ა GE 35 LB 0120124700733001

ს/კოდი 247865145

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

იური ქათამაძე